

ოქმი N7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2014 წელი, 15 ოქტომბერი
11.00-13.00 საათი
ქ. ოზურგეთი

თავმჯდომარეობდა - დავით დარჩია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - დ. კვერელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ. საჯაია, გ. ჩავლეშვილი, შ. ართმელაძე, ტ. აროშიძე, ე. გორდელაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: გ. კილაძე, კ. გობრონიძე, ა. გოგოძე, ვ. ვადაჭკორია, შ. დოლიძე, ზ. გობრონიძე, მ. გოგოტიშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ჩხაიძე, ი. დუმბაძე, თ. ბურჭულაძე, ნ. ურუშაძე, ლ. ნაცვალაძე, ნ. დობორჯგინიძე, დ. თენიეშვილი, რ. გაბაიძე, გ. კოჩალიძე, ბ. იმნაიშვილი, ი. მამალაძე, პ. კილურაძე, ბ. ლლონტი, რ. სკამკოჩაიშვილი, ვ. ნიჟარაძე, ბ. გობრონიძე, ნ. კალანდარიშვილი, ლ. კილაძე, გ. მესხიძე, ვ. ჩავლეშვილი, დ. სიხარულიძე, ი. ჩხაიძე, ხ. წულაძე, დ. ჭაკნელიძე, ლ. სიჭინავა, დ. მჟავანაძე, მ. ბერიძე.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი - მ. ჭანუყვაძე;
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე - ა. ყაზაიშვილი;
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკები.
მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია - 43 დეკლარაციიდან რეგისტრაცია გაიარა 41-მა, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“-ს შექმნის შესახებ.

მომხს: დავით დარჩია

თანამომხს: ეროდი გორდელაძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“-ს შექმნის შესახებ.

მომხს: დავით დარჩია

თანამომხს: ეროდი გორდელაძე

67.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

მომხს: დავით დარჩია

თანამომხს: ეროდი გორდელაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 41 ხმით

68.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს N2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს: დავით დარჩია

თანამომხს: მერაბ ჭანუყვაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 41 ხმით

საკრებულოს წევრმა ლ. სიჭინავამ გამოთქვა აზრი, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლების თანაშემწეების შტატების განაწილებისას გაეთვალისწინებინათ ადმინისტრაციული ერთეულების თავისებურებებიც.

განემარტა, რომ თანაშემწეების შტატები განაწილდა ადმინისტრაციულ ერთეულებში ამომრჩეველთა რაოდენობების მიხედვით.

69.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

მომხს: დავით დარჩია

თანამომხს: მერაბ ჭანუყვაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 41 ხმით

70.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს: დავით დარჩია

თანამომხს: მერაბ ჭანუყვაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 41 ხმით

კამათი გაიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისას, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარემ მ. გოგოტიშვილმა დასვა შეკითხვა - რატომაა აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შეტანილი იქნეს მთავარი სპეციალისტისათვის მუშაობის 6 - თვიანი სტატუსი.

განემარტა, რომ რანგით მთავარი სპეციალისტი თანაბარია განყოფილების გამგის რანგისა და საჭიროების შემთხვევაში უნდა შეასრულოს მისი მოვალეობა.

საკრებულოს წევრმა ლ. ნაცვალაძემ გამოთქვა აზრი, რომ ბიზნესის და სხვა სფეროდან მოსული ადამიანის 6 - თვიანი მუშაობის სტაჟი არ იქნება მთლიანად გამართლებული საჯარო სამსახურისათვის, შეიქმნება პრობლემები გადაწყვეტილების გამოტანისას;

მ. ჭანუყვამე - მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების პროექტი შემუშავებულ იქნა საკრებულოს ხელმძღვანელობასთან ერთობლივი მუშაობით, მაქსიმალურად იქნა გამოყენებული კანონმდებლობით განსაზღვრული ქვოტა, რამდენიმე სოფელში იქნება წარმომადგენელი და ორი თანაშემწე, დანარჩენში წარმომადგენელი და თანაშემწე.

მიღებული იქნება ზომები, რომ ადამიანთა მაქსიმალურმა რაოდენობამ მიიღოს კონკურსში მონაწილეობა.

საკითხზე დაიწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და გათვალისწინებული იქნება ყველა შემოსული წინადადება და, რათქმაუნდა, პირველ რიგში საკრებულოს წევრთა აზრი.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მ. ჭანუყვამის აზრით მუნიციპალიტეტის ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულს - სოფელს უნდა მიეცეს განვითარების თანაბარი შანსი, გამორიცხული იქნება როგორც პიროვნული, ასევე პარტიული ინტერესები.

71.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს N18 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს: დავით დარჩია

თანამომხს: ტარიელ აროშიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 41 ხმით

72.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს N22 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს: დავით დარჩია

თანამომხს: შოთა ართმელაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 41 ხმით

73.9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის და სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 დეკემბრის N42 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს: დავით დარჩია

თანამომხს: ეროდი გორდელაძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 41 ხმით

74.10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს: დავით დარჩია
თანამომხს: მერაბ ჭანუყვაძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 41 ხმით

75.11. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და გამგეობის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს: დავით დარჩია
თანამომხს: მერაბ ჭანუყვაძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 41 ხმით

76.12. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს: დავით დარჩია
თანამომხს: მერაბ ჭანუყვაძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 41 ხმით

სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული NN1,2 საკითხები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების: „პატრიოტთა ალიანსი“-ს და „ქართული ოცნება - რესპუბლიკელები“-ს შექმნის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის - ე. გორდელაძის ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ მიიღო ცნობად.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულებისა და სხდომის დახურულად გამოცხადების შემდეგ განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა ლ. სიჭინავამ - კერძოდ, მისი აზრით ცვლილება უნდა შევიდეს მუნიციპალიტეტის რეგლამენტის NN117, 130-ე მუხლებში, საკრებულოს დეპუტატისათვის შეურაცხმყოფელია 50 - ლარს იღებდეს ამომრჩევლებთან შეხვედრისათვის, რაც დეპუტატს ისედაც ევალება, ხარჯები დეპუტატს სჭირდება იმ პრობლემათა მოგვარებისათვის, რომლებსაც ამომრჩევლები დეპუტატთან შეხვედრისას ასახელებენ.

მანვე გამოთქვა აზრი, რომ უმჯობესია ჩაიწეროს რეგლამენტში საკრებულოს, საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში და ფრაქციათა სხდომებში მონაწილეობისათვის ხარჯი განისაზღვროს 100 - ლარით.

საკრებულოს წევრმა ნ. კალანდარიშვილმა – განაცხადა, რატომ არ ჩატარდა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა სტიქიის შედეგების განხილვისა და მისი აღმოფხვრის ღონისძიებების დასახვისათვის; ტარდება ამომჩვევლებთან შეხვედრები, მაგრამ იქ დასმული პრობლემების გადაწყვეტით არავინ ინტერესდება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ტ. აროშიძემ გამოთქვა აზრი საპატო ოზურგეთლობის წოდების დაწესების შესახებ, ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფლების დახმარებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების შესახებ.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მ. ჭანუყვამე, მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს, საკრებულოს დეპუტატებს, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებსა და შესაბამისი სამსახურის მოსამსახურეებს სტიქიის პერიოდში გაწეული მუშაობისათვის, განაცხადა, რომ აღდგენითი სამუშაოები დაიწყება მთავრობის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. სამუშაოთა მოცულობა და გეგმა შეთანხმებულია დეპუტატებთან, გამგებლის წარმომადგენლებთან, კომისიებთან. წინა სტიქიის აღმოსაფხვრელი ღონისძიებებიდან დარჩენილი თანხები, მთავრობასთან შეთანხმებით, გამოყენებული იქნა გადაუდებელი სამუშაოების შესასრულებლად.

სტიქიის შედეგების აღმოფხვრისათვის სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი, მოსაწვევია გეოლოგები, ნაპირსამაგრი სამუშაოები უნდა მოეწყოს დასკვნის საფუძველზე. თანხების განკარგვას ალბათ ინფრასტრუქტურის სამინისტრო აიღებს საკუთარ თავზე. მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკუთარი შესაძლებლობებით უზრუნველყო ისეთი აუცილებელი სამუშაოების განხორციელება, როგორცაა საყანე ფართობებში და ტყეკაფებში მისასვლელი გზების მოწყობა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე. გორდელამემ აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საყანე ფართობებთან მისასვლელი გზების მოსაწყობად შესრულებული მნიშვნელოვანი მუშაობის თაობაზე, ამასთან ხაზი გაუსვა სოციალურად შეჭირვებულთა დახმარების მიზნით გასაწევ საქმიანობას.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მ. ჭანუყვამემ განმარტა, რომ ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 200-მდე საცხოვრებელი სახლი, რომელიც ზოგი დაზიანებულია მეწყერით, ზოგიერთი სიძველის გამო, ნაწილი იმიტომ, რომ სოციალურად შეჭირვებულ ფენას არ შეუძლია შეკეთება, ურთულესი პრობლემაა, მაგრამ ამ კუთხითაც გამგეობა ეწევა მუშაობას სიტუაციის გამოსწორებისათვის.

საკრებულოს წევრმა ნ. ურუშაძემ გამოთქვა აზრი ექადიის ტერიტორიაზე მდინარე ბჟუჟის ნაპირსამაგრი სამუშაოებისა და დაზიანებული ნაძვის ხეების განკარგვის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მ. ჭანუყვამემ განმარტა, რომ ექადიის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება ქ. ოზურგეთის მერიის კომპეტენციაა, რაც შეეხება დაზიანებული ქარსაფარი ზოლების საკითხს, გამოცხადებულია ტენდერი სტიქიის შედეგად დაზიანებული ხე-ტყის დახერხვა-დამუშავებაზე, მასალები გადაეცემა სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას.

საკრებულოს წევრებმა ი. დუმბაძემ და გ. კილაძემ გამოთქვეს აზრი თავიანთ სოფლებში უსახლკარო სტიქიით დაზიანებულ მოსახლეობისათვის თავშესაფრის მიცემის შესახებ.